

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა საქართველოში პირთა რეგისტრაციის პროცედურის სრულყოფის აუცილებლობამ, „ემიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმებამ და მასში ასახული ზოგიერთი ნორმის ამოღებამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიზანია რეგისტრაციის წესების სრულყოფა და „ემიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმების შედეგად გაუქმებული საემიგრაციო პასპორტის შესახებ ნორმების ამოღება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„ემიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებების უმეტესობა პრაქტიკულად უმოქმედო და მოძველებულია, რაც მისი ამ სახით მოქმედებას მიზანშეუწონელს ხდის, მით უფრო, რომ მისი ზოგიერთი დებულება ათხასა „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში. მათ შორისაა საემიგრაციო პასპორტის შესახებ ნორმები. გამომდინარე იქიდან, რომ „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი აღარ ითვალისწინებს ამ სახის დოკუმენტს, შესაბამისად, ხდება მის თაობაზე ნორმის ამ კანონიდან ამოღებაც.

გარდა ამისა, პროექტით გათვალისწინებულია გარკვეული ცვლილებები რეგისტრაციის შესახებ წარსადგენ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. რეგისტრაციისათვის პირი ვადდებულია წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა აღინიშნოს პირის სახელი, გვარი, ახალი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და განცხადების წარდგენის თარიღი. რეგისტრაციისათვის განცხადებასთან ერთად წარსადგენი დოკუმენტები ამ კანონით აღარ არის დადგენილი და მითითებულია, რომ ისინი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ განიხილვის სახელმწიფო ბიუჯეტის სახარისის კანონით.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირობათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში ასეთი არსებობის შემთხვევაში: